

ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკევით

უასი 1,50 ლარი

13 ნოემბერი 2009

№23(101)





1516
2009



ინვაზილორავას ესეი
გია ხოფერია მოთხრობა
მარილიანი დიალოგები
რეზო ესაძის ლექსები
უკვდავება იმ აფორიზმისა
ივანე ამირხანაშვილი თამაზ ბაძაღუაზე
ქართული თემა დოს ვასოსის ტრილოგიაში



წიგნის თარო





ინგა მილორავა

კუნძული ამერიკის სულს სიღრმეში



დევიდ ლორენსი და ფენიმორ უპსერი

დედამინაზე მცხოვრები თითქმის ყველა შემდგარი, ჩამოყალიბებული და თავმოყვარე ერთ ფიქრობს და ხმამაღლა ლაპარაკობს თავის ეროვნულ სულზე. მეზობელი თუ არცთუ მთლად ახლოს მცხოვრები ერიებიც ფიქრობენ და შორიდან უთვალთვალევენ, ხან კეთილმოსურნედ, ხან არცთუ მთლად შემწყნარებლურად და აქტიურად აანალიზებენ სხვის „ეროვნულ სულს“, გარკვეულ მომენტში შესაძლოა მისი არსებობა ეჭვქვეშაც დადგეს და, სამწუხაროდ, ფიქციად ან მითად გააზრებულიც კი აღმოჩნდეს. ან, პირიქით, გადაჭარბებით შეფასდეს, თუნდაც კოლექტიური ევოს თვალსაწიერიდან, რაც ცუდად გაგებული ნაციონალიზმის საფუძველიც კი შეიძლება გახდეს, ხოლო აქედან ერთი ნაბიჯია უკიდურესობამდე, თუნდაც ფაშისზამდე. მაგრამ როგორც, ასე ვთქვათ, მელის მიმით ცხვარი არავის გაუნყვეტია, ისე ეროვნული სულის უარყოფა ან მისი მნიშვნელობა დაკნინება არ იქნება მიზანშეწონილი. მითუმეტეს, რომ მწიგაღი ნიშანი მიუთითებს არა მარტო მის არსებობაზე, არამედ მკვეთრად გამოყოფა ის ისტორიული და კულტურული მიმართულებები, ვითარებანი და გზები, რომელიც აყალიბებს სრულიად აქცერადა არსებულ, მაგრამ მაინც მწლად მოსახლეობებულ რელობას – ეროვნულ სულს.

ამ არსის შეცნობა და გათვალისწინება ორმაგად უფრო მნიშვნელოვანია თანამედროვე სამყაროში, რომელიც ჯერჯერობით შეუფერხებლად მიტანება გლობალიზაციისაკენ, რასაც შესაბამისად თან მოჰყვება თავისი დადებითი და უარყოფითი შედეგები (თითქმის თანაბრად). დღესდღეობით ამ პროცესს სათავეში უდგას ამერიკა და ხშირ შემთხვევაში გლობალიზაცია ამერიკანისაცადა აღიქვამს, რაც თავისთავად იწვევს ბუნებრივ შეშფოთებას, ეჭვს და შიშსაც კი.

ამ ვითარებას აქვს სრულიად გასაგები და გარდაუვალი ფიზიკური მიზეზ-მოუყვებლობა: ეკონომიკა და პოლიტიკა – უძლიერესი საყრდენი, მაგრამ გარდა სრულიად ხელშესახები და გასაგები ე.წ. „ხორციელი პლანისა“ აქვეა არანაკლებ მნიშვნელოვანი „სულიერი პლანი“, რომელიც, შესაძლოა, კიდევ უფრო მძლავრია და ბევრად მეტ ნინააღმდეგობასაც აღძრავს.

თავისთავად იბადება კითხვა შესაძლოა, სხვადასხვა ეჭვგაანად და ერთა მიოლის გარკვეული პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემა, მაგრამ რამდენად რეალურია, რომ მათ შეითვისონ და უპირატესოდ „ჩაიდგან“ რომელიმე სხვა, თუნდაც ამერიკული სულ? სულიერი პროცესები იმდენად ფაქიზია, რომ მას ვერანაირი დირექტივა

და პრაქტიკულ-პრაგმატული მოსაზრებანი ვერ დასაძლევს და სასურველ კალამობაც ვერ გადაიყვანს. შედეგი: ფარული თუ ამკარა ნინააღმდეგობა და დაპირისპირებაც კი, რაც თანადროულ სამყაროში სრულიად აბსურდულია.

საკუთარი ეროვნული სულის გადარჩენისათვის საჭიროა არა დაპირისპირება და თავსმოხვეულის გამო გაბმული ტანჯვა, არამედ სხვისი სულის სიღრმეში შესვლა, მისი შეცნობა, მისი ფარული არსის წყნობა და იქედან იმ ფასეული, გასაგები, ზოგადსაკაცობრიო და საკუთარი „მეობის“ გამამდიდრებელი მარცვლების ამოღება, რომლებიც ბუნებრივად შეეზრდებიან უკვე ჩამოყალიბებულ მოცემულობას – ეროვნულ სულს. ნებისმიერი ერის კულტურულ ველს და სულიერ სივრცეს უნდა ეყოს ძალა – მისაღები მიოლის და, როგორც გიორგი მერაბული იტყვის, „ჯერ კული განავადი“. ამისთვის კი სწორი მეთოდოლოგია და სიღრმეში შეღწევის უნარია აუცილებელი. სწორედ ერთ-ერთ ასეთ გზას მოუყვება ინგლისელი მწერალი და მოაზროვნე დევიდ ლორენსი, რომლის ნინიც „ესეები კლასიკური ამერიკული ლიტერატურის შესახებ“ შეიძლება ერთგვარ მაგალითად იქცეოდეს კი წარმოვიდგინოთ.


ლორენსი შეეცადა არა მარტო ზედამიწულად, თუნდაც ძალიან პროფესიულად მიმოიხილა ამერიკული ლიტერატურა, არამედ შეეღწია არაჩვეულებრივი, მოუხელთებელი „ამერიკის სულის“ სიღრმეში. ის თითქმის საფეხურებს მოუყვება სულ დაბლა და დაბლა, სანქისისაკენ, საყრდენი სიბრტყისაკენ, რომელზეც „დაემუნა“ ეს სამყარო. მისი ესეები 1923 წელს გამოცა, მაგრამ დღესაც აქტუალურებს მოუყვება სულ დაბლა და დაბლა, სანქისისაკენ, ასე ვთქვათ, „ჯანდაღი მიდგომის“ გამო. იგი, ევროპელი, ევროპული პურიტანიზმი დალილი მიგნარაფა ახალ ცივილიზაციას და მის ახალგაზრდა სულს, მაგრამ შეძლო ყოფილიყო ზოლომდე ობიექტური, ყოველგვარი შედმეტი აღტაცების გარეშე ემოზხაუროს და ფეხმერულ სულიერ სივრცეში, შეეწარუნებინა კრიტიკული მზერა, სადაც საჭიროა, სკეპტიციზმი და ირონიაც გამოუარია თავის ჩარჩოებისგან თავისუფალ მსჯელობას და, რაც მთავარია, შეძლო „ჩაიძოროს“ ერთი შეხედვით არცთუ ისე ღრმა ამერიკული სულის სიღრმეში, თანაც იმდენად, რომ მიეგნა მისი არქული, ზედმეტი და მითიური მრეებისთვისაც კი.

ალანსამბეგია, რომ დევიდ ლორენსის „ესეები კლასიკური ამერიკული ლიტერატურის შესახებ“ ქართულადაც გამოვიდა. იგი თარგმნა თამარ კოტირაძემ და შესანიშ-

ნავი შესავალი წერილიც - „დევიდ ლორენსი, ამერიკის სულის გზაზე“ - დაუთმო.

ლორენსი ამერიკის თვითმყოფელ სულის შეცნობისთვის ირჩევს რვა მნიშვნელოვან ადამიანს და თითოეულის სამყაროს წარმოადგენს, როგორც ცალკეულ „კუნძულს“ ამერიკის სულის ვრცელ და მშფოთვარე ზღვაში. ამათგან ერთი, ბენჯამინ ფრანკლინი, არ არის მწერალი, მაგრამ ლორენსი მიხვდება ამერიკის არსს და სათავეებს და მისთვის ბენჯამინ ფრანკლინი ამ თვალსაზრისით ძალიან საინტერესო, შეიძლება ითქვას, ამოსავალი წერტილი და გასაღებიც კი იყო. დანარჩენი შვიდი მწერალია: ჰექტორ სენტ-ჯონ დე კრევეკერი, ჯეიმზ ფენიმორ კუპერი, ედგარ ალან პო, ნათანიელ პოთორნი, რიჩარდ ბენდიკონი, ჰერმან მელვილი და უოლტ უიტმანი. მწერალი არ წარმოადგენს დასრულებულ კორცეფციას, ეს არ იყო მისი მიზანი. მაგრამ ამერიკის სულის ცალკეულ კუნძულთა სანახებში მოგზარობით იგი მოუყვება გზას სიღრმისაკენ, თითქმის ქვეცნობითი შრეებისაკენ და თანდათანობით, ნაბიჯ-ნაბიჯ, ფაქროსა და განსჯის კვალდაკვალ ნაწილობრივ „ხსნის“ „საიდუმლოს“, რომლის შეცნობაც არსებობდა შეუძლებელია, რადგან ის მისი ფორმა და შინაარსი ამ შეუძლებელში ამერიკის, ზოგადად კი, ნებისმიერი ქვეყნის შინაგანი წყობის, მისი წარმოსახვითი ელლის, ერთობლივი სულიერი სიღრმისა და ცალკეული ადამიანის „მეს“ ერთობლიობით, ერთ სულიერ სუბსტანციად დანახვისა და წარმოადგენს უნარიანთა გაპირობებულ „მე“ მისთვის არის ე.წ. „თეორიკანიანი ფსიქე“, ხოლო საწყარო, რომელზეც ის წერს, საბოლოოდ მაინც აპოკალიპტიკურია. თავის სიყვებს 1923 წელს ამთავრებს და, აღსანიშნავია, რომ მას თითქმის ზუსტად განსაზღვრა დასავლური ცივილიზაციის ყველა თვისება, რომელსაც მაშინ ჯერ მხოლოდ საფუძველი ეყრებოდა და შემთხვევით არც ამერიკა აურჩევია, როგორც ქვემოთაღნიშნულ ნიშანსამეტიკეული გრძნობა და იმ მომავალ გავლენას, რომელიც ამ ქვეყანამ მოიპოვა თავის მდგრად მსოფლიოზე.

ლორენსის ნიშნი ორი ესეი ეძღვნება ფენიმორ კუპერს. კუპერის შემოქმედებაში ერთმანეთს შეერწყა განმანათლებლობისა და რომანტიზმის ტენდენციები და ამ ჭრილში წარმოსდგა ამერიკული რეალიზმი და ამერიკის სულიც. დანილ დეფოსა და ვრონაბო სივრტის მსგავსად, კუპერსაც წილად ხვდა ბედი - მისი ნიშნები მოზარდებისათვის განკუთვნილად და სათავგადასავლედ განხილულიყო. არადა, მისი შემოქმედება შეიცავს დაფარულ ხარს და თითქმის ფილოსოფიურ განზოგადებასაც კი. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ამერიკის სულის თვითმყოფელი სახის შექმნისთვის აუცილებელი ის რეალობა, რომელიც თეორიკანიანს და ინდიელის ურთიერთმომარბობას ასახავს. სწორედ ამ საკითხს მიაქცია ყურადღებაც დევიდ ლორენსსაც, რომელიც ამერიკას ისედაც არასდროს განიხილავდა მხოლოდ თეორი კაცის სამყაროდ. პირველქმნილი ბუნება, ნოთელკანიანთა სისხლიანი ღმერთები, უცხო და გაუგებარი, ან უკვე სამუდამოდ გამქრალი ცივილიზაცია



და მასზე ყველა ცოდვის დასაფარად გადაფარებული კანონების, დემოკრატიის, „თეთრი ფსიქე“ მსოფლმხედველობა - ასე აღიქვამს იგი ამერიკას. თუმცა მაინაა, რომ ამერიკის სული საკუთარ თავში ინახავს იმ გამქრალ საფუძვლებს და მის გაგონებას და მისი არსებობის შედეგებს მუდმივად განიცდის და შემდეგშიც იგრძნობს.

ესეიში „ფენიმორ კუპერის თეორი რომანები“, რომელიც მწერლის შემოქმედების ერთ ნაკადს ეხება, ლორენსი წერს: ადგილის სულის თავისუფლება ის გახლავთ, რომ არცერთი ადგილი ახალმოსულზე სრულ გავლენას მანამ არ ახდენს, სანამ მისი ძირძველი მოსახლე არ გარდაიცვლება და არ დამარბება. ამერიკაც ასეა. სანამ ნოთელკანიანი

ანი მოსახლეობა საკმაო რაოდენობით არსებობდა, კოლონიზატებს ამერიკის დემონსაგან რაღაც იწინტეგრატ მანიც იცავდათ... როგორც კი ნოთელკანიანთა არსებობის უკანასკნელი ნაპერწკალი ჩაქრება, თეთრკანიანები კონტინენტს დემონის სრულ ძალას იგემებენ. დღესდღეობით ადგილის დემონი და მკუდარ ინდიელთა მუსიკისფერი აზრდილები თეთრი ამერიკელის ქვეცნობირსა და ცნობიერში მოქმედებენ, ამერიკელებს მოსვენებას აკარგვენებენ, ორგანიზაციით აწრიალებენ იანკის შტეიტერულ სულს, მიჰყავთ შინაგან დაუკმაყოფილებლობამდე, რომელიც ზოგჯერ შემუშაობილია მოავრდებდა. მესული თავისი ბუნებით გაორებული და სევდიანია. აქამდე ამერიკის უსწულე სული თეთრ ამერიკელში იღუპებოდა და იარებოდა. მაგრამ ჩვენს ეპოქაში ინდიელზე უკვე ლამის მოლიანად შთაინტეგრირ უშველებელ თეთრ ქაშობში. ეს რომ ბოლომდე განხორციელდება, მაშინ ამერიკის დემონი უკვე ლიად იმოქმედებს და ცვლელნივით თვალსაჩინო გახდება“.

ამ შეგრძნებთ „შეიარაღებულ“ გადაღის ლორენსი თავისი ნიშნის იმ კუნძულზე, რომელსაც ფენიმორ კუპერის შემოქმედება ეწოდება. მეორე ესეი „ფენიმორ კუპერის რომანები ტავის ნიშნის შესახებ“ სწორედ თეორიკანიანის და ინდიელის ურთიერთობის იმ ეპოქას ეხება, რომელიც ამერიკის დემონს ჯერ არ გაუგებია, მაგრამ უკანასკნელი ინდიელის უკუდაღობა განწყობილია. მისი სულში ნელ-ნელა იღუპება ის ტრაგიკული და საშობი ფენი, რომელიც ოდესღაც სამდე მოულოდნელად აიშლებოდა.

კუპერი არ ყოფილა ტრაგიკულად განწყობილი. მისი დამოკიდებულება ამ სამყაროსადმი რომანტიკული და მსუბუქია... ინდიელებს იგი რომანტიკულად აღიქვამს და კრევეკერისულ „ვიკვაშების ჩრდილი“ ცხოვრებას თითქმის იდეალად წარმოადგენს. მეორე მხრივ, ინტუიტიურად გრძნობს, რომ საპირუზიანად ნოთელ კაცის სამუდამოდ გასვლა გარდაუვალია და თითქოს ეუბნება კიდევ ამას. თამცა ცდილობს „შეარბილოს“ ეს მოკლენა ბუნების ხატიც, თეთრკანიანისა და ინდიელის შეგობობის ლირიკული სურათებით.

მისი ნათანელ ბამბი, რომელიც ტკავის ნიშნის ციკლის სუბიეტი რომანში („პირონები“, „უკანასკნელი მოკიკანი“, „პურია“, „მზვერავი“, „ნადირთმძლექი“) მოქმე-

პ. 679

საქართველო
პარლამენტი
3
საქართველო



დებს, ამერიკის სიერცის ახალი მკვრობელის სახეა, ოღონდ არა აგრესიული, არამედ თავისებურად კეთილ-შოიილი, მამაცი, შეუვალი, ახალი სულისა და ახალი ცივი-ლიზაციის კუპერისეული იდეალი. მაგრამ ლორენსმა არაფერი „შეარჩინა“ კუმერს და სარკასტულად შენიშნა, რომ იგი თავის ამერიკას ხშირად ასე საყვარელი პარიზუ-ლი ხალონების მშვიდი სიერციდან აკვირდებოდა. თუმცა ზუსტად შენიშნა და დაუფასა ის, რაც კუმერმა ნათანეიდ ბამპის სახეში იგულისხნა და სამომავლო პერსპექტივა-დაც დასახა. ნათანეიდ ბამპისა და ჩინგაჭუკის მეგობ-რობას იგი ასე აღიქვამს: „როგორც ჩანს, ხორციელი ურ-თიერთგანგაგება შეუძლებელია, მაგრამ სულის შეცვლა შეიძლება. თეთრკანიანის სული ვერასდროს დემეგავსება წითელკანიანის სულს, მაგრამ მან შეიძლება წითელკანი-ანის სულის საპირისპირო დინება შეწყვიტოს და საკუთარ სულში ახალი სიერციები გახსნას, სადაც წითელკანიანის თავსაც მოცემბენება ადგლიო.

ცნობიერებში ახალი სიერცის გახსნა ძველი ცნობი-ერების გველის ტყავიცივი გამოცვლას ნიშნავს. ძველი ცნობიერება ვინრო საპყრობილედ გვეცევა, ლამისა შიგ ცოცხლად ჩაველიო.

ძველ მჭიდრო კანს სანამ არ ჩამოიცილი, ახალსა და მისახერხებელს ვერ მოისხამ. თუ ეს ვერ შეძელი, შეგიძ-ლია აღარც ცეცადო“.

კუმერის ოცნებამ: ჩინგაჭუკისა და ბამპის მეგობრო-ბით საფუძველი ჩაყაროს ახალ ურთიერთობებს, თანას-წრითა კავშირს, ახალ ადამიანურ ურთიერთგაგებას – იმ-პულიკი მისცა ლორენსს, დაეანბნა ამერიკის სულის ფარუ-ლი პოტენციალი – ჩამოიშორის ძველი და შეითვისოს ახალი და ამით შეეწინააღმდეგოს სტვისი (ამ შემთხვევა-ში, ინდიელთა) გაქრობით გამოლეიძებულ დამლუგველ დემონს. ეს ერთგვარი უნივერსალური ფორმულაა სხვა ეროვნული სულისა ან სულელებისთვისაც. მართალია, ის კუმერისეულ ნათანეიდ ბამპისა და ინდიელის ურთიერ-თშეღწევას მითოსად შიორწევს, მაგრამ თვით ნათანეიდ ბამპის, ამ მითის შუაგულში მდგომ „ნადირამიელტეს“, ამერიკის სულის თვალსაჩინო გამოვლინებად.

„ქუმერსატი მითი თავის შუაგულში დანაწევრებულს კი არა, სწორედაც რომ გამთლიანებულ სულს მოაქცივს, რისი სიმბოლე ამერიკისთვის ნადირამიელტესაც: კაცი, რომელიც საზოგადოებას ზურგს აქცევს, თავის მიზარ-ღურ ხელმუშებლობას იცავს, მარტოსული და სტოიკო-ნი, ლამის უპიროვნო, რომელიც სიკვდილით ცოცხლობს და თან წინიდა თეთრკანიანი.

აი, ამერიკელის მთავარი მახასიათებლები, იგი მთელ დანარჩენ ფერულზე მაღლა დგას. და როცა ასეთი კაცი თავისი მეგობარი მარტოსულობის ქერსე გამოანდრავს და ახალი მიზარღულებით გაიწევს, მამის გაფრთხილდით: „რალაც თუოოდ მოხდებო“.

ლორენსმა ფენიშიორ კუმერის „კუნძულზე“ იპოვა ამე-რიკული სულის ერთი გამოვლინება, ერთი სახე. ის კუმე-რისაში მიმდევნილ ორ ეთვის სხვა ესეებთან კავშირში წარმოადგენს და საბოლოოდ საერთო, განყოფილი მთლიანი სურათი წარმოსდგება. ეს სურათი კი ერთგვარ ზამკვლელებდ იქცევა ამერიკის სულის შემდგომი შეცნო-ბის გზაზე.

ინანე ამირხანაშვილი

ტკივილი და უსასრულოება

თამაზ ბაძალუაზე წერა ადვილი არ არის. ადვილი არ არის მრავალი მიზეზის გამო. რა თქმა უნდა, აქ მარტო ტრაგიკულ აღსასრულს არ ვგულისხმობ. იყო ამ ადამიანში რალაც ისეთი, რაც განსაკუთრებულობის ნიშ-ნით იყო აღებედილი და, ამავე დროს, იყო სითოც, რაც სასებების თავისუფლად ეტეობდა ჩვეულებრიობის ჩარჩო-ებში. არ ყოფილა ნინაზამდეგობრივი, მაგრამ იყო ღრმა და არაჩვეულებრივი სულის პატრონი, რომელიც კი არ ცხოვ-რობდა, არამედ სიცოცხლეს ზემობდა მთელი არსებით, ყოველი ნერვით, თითოეული უჯრედით.

სინამდვილის შეგრძნება ქონდა გასაოცრად მთლიანი და გრანდიოზული. ეს უნარი იყო იმდენად დიდი, რომ გარ-რეგულადაც კი ეტყობოდა მინარ-მოხრბო, გამოხედავით, ლაპარაკის მანერაში. სავნებსა და მოვლენებს შიგნიდან, შიგა კონსტრუქციებიდან, შიგა – არსიდან ხედავდა და ამას, ცხადია, ჰქონდა შესაბამისი შედეგი – ექსიმიისტი იყო, თანაც იმდენად ღრმა და იმდენად ტრაგიკული, რომ გარ-შემომყოფელნი იწვევდა რალაც ეგზისტენციული მდგრა-დაობის განცდას, რომელიც უფრო ახლის იდეა სიცოცხ-ლის სრწმუნებასა და იმედთან, ვიდრე არსებობის მიმთან ან უსასრობისთან.

დღეს უკვე შეიძლება ითქვას, რომ თამაზ ბაძალუა გა-მორჩეული სახელია ქართული პოეზიის ბოლო ათწლეუ-ლების ისტორიაში.

რას ნიშნავს „გამორჩეული“? უპირველეს ყოვლისა, არა იმას, რაშიც ჩვეულებრივ ლიდერობის ხარისხს გულისხმობენ ხოლმე.

ეს სიტყვა არ ნიშნავს საერთო-საყოველთაოს, მეტიც, სულაც გამორიცხავს მას.

უბრალოდ, მან შექმნა მეტაფიზიკური ლექსის თავისე-ბური სახე, რომელიც განსხვავდება ქართულ ლიტერატუ-რაში მანამდე არსებულ ფორმებისგან. თანაც მის მიერ მიცემული ფორმა საკმაოდ სიცოცხლისუნარაინი აღმოჩ-ნდა და აერთო შეინარჩუნა ძალა და მნიშვნელობა, არამედ ახალ სიერციებშიც გააღლია.

თუ თვალს გადავავლებთ თანამედროვე ახალგაზრ-დულ პოეზიას, დავინახავთ, რომ ეს არის გაგრძელება იმ გზისა, რომელსაც თამაზ ბაძალუამ ჩაუყარა საფუძველი.

სხვათა შორის, ვერ კიდევ მაშინ, როცა თამაზის ლექ-სები ბევრს არ ესმოდა, იყო ლაპარაკი იმაზე, რომ ეს იყო მოშავის ხედეა, მოშავლის პოეტია და მისი სოციალური ადაპტირება მოხდებოდა სხვა დროში, სხვა კულტურულ გარემოში.

თამაზ ბაძალუა ცარიელი ადგილზე არ მოსულა, მას ჰქონდა მინაგანი კავშირი რეალესესორი პოეზიის ქართულ

ნაკადთან (ნიკო სამხადაშვილი, ლია სტურუა, ჯარჯი ფხოველი, პესიკ ხარანაული, მამუკა ნიკლეური, გივი აღმაზოშვილი), საზღვარგარეთული გაველინის კვალიც ეტყობა (ტომას ელიოტი, უოლტ უიტმენი, რილკე...).

მისი აზროვნების ტიპს განასაზღვრავდა მასშტაბურობა და ყოვლისმომცველობა. სამყაროს მთლიანობაში აღიქვამდა. თავს გრძნობდა კოსმოსის ნაწილად და კოსმოსს გრძნობდა თავის თავში. მისთვის ადამიანური სულის მოძრაობა სამყაროს დიალექტიკის ეკრანზე აისახებოდა, სამყარო კი თავისი უსასრულოებით სიცოცხლის ერთ ფრაგმენტში ეტყუდა, ერთ ნურტრემი იყრიდა თავს გამუდმებულ ტკივილი და უსასრულობა, ამიტომ იყო მის პოეზიაში ყველაფერი დიდი და პუშკინური.

ის არ მოსულა რაღაც პროგრამით, გარდაქმნილი და განახლებების იდეებითა თუ ინსტრუქციებით, პოეტური კომპლექსი მასში ნინდანინვე იყო გარდაქმნილი.

ახალმა პოეზიამ მისი ნიჭი დაიხმარა იმისათვის, რომ თავისი თავი გამოეხატა.

საიდან მოდიოდა გრძნობისა და აზრის ესოდენ მაღალი კულტურა? სად იქცეოებოდა სიტყვისა და ფრაზის ასეთი დახვეწილი, ლბილი ქაოფილი? სად იღებდა სათავეს მეტაფორიზაციის ეს მღელვარე ნაკადი?

უნდა ითქვას, რომ თამაზ ბაძაღუს განათლება და ინტელექტი იყო სწორედ იმ სიმაღლეზე, რა სიმაღლეცაც ფულისხმობდა მისი პოეტური აზროვნების დინამიკა. ის იყო ნიგნიერი ადამიანი ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით. იმ-ვითადად მინახავს ნიგნის ალქმის ასეთი ბრწყინვალე უნართი და-ჯილდოვებული ადამიანი, რომელსაც ძალუდმა ნაკითხული სულის ნაწილად ექცია.

ნიგნიერება სისხლსა და ხორცში ჰქონდა გამჯდარი. ალბათ ამიტომაც არ უყვარდა ლტერატურაზე საუბარი, რომ ნიგნიერება იყო მისი ბუნება, ხასიათი, სულის შინა, წინდათაწმინდა, ხელუხლებელი მხარი.

იხიოი ლექსები, როგორებიცაა „აღმოსავლეთის ვარსკვლავი“, „მე ვარ მგელი“, „კარმენი“, „ზღვის ქვეყანაში“, „არა მოვარჩე და ვარსკვლავებზე“, „ჩვენ გამოვდივართ სიყვარულის მუხზეუმიდან“, „ბოლო გამერება“, „შეც მონიძებენს მკერდ ქორემა“ ზუსტად გამოხეკვის ავტორის პოეტურ პროფილს, რომელიც ყურადღებას იმყრობს მთავარი შტრიხი - პოეტური აზრის გამუდმებული მოძრაობა და ემოციის დიალექტიკური განვითარება, ერთიანი, მთლიანი, გაუმსარავი დისკუსია.

გი იყო გამყენებული აზროვნების დიდისტატი. ეს არ ყოფილა უმნიშვნელო რამ, თუნდაც იმიტომ, რომ მეტაფიზიკა არა მარტო ჩვენი ლტერატურის, საერთადად ჩვენი აზროვნების აქილევსის ქუსლი იყო ტრადიციულად.

რასაც ხელს შეეხებდა, ყველაფერს მეტაფიზიკად აქცევდა. ამისთვის მას ჰქონდა ფაილისუნური იარაღი - მეტაფორა. მეტაფორა მისთვის ყველაფერი იყო: განცდაც, ემოციაც, ფიქრიც, გრძნობაც, ოცნებაც, აზროვნებაც.

მეტაფორებს კი არ ქმნიდა, არამედ მშაშხარეულად გვანდოდა როგორც ვიზუალური ხატებს, რომლებსაც მისი თვალი აღმოაჩენდა გარემომცველ სამყაროში.

სრულყოფილად ფლობდა ლექსის წერის ტექნიკას. სა-ლექსო კანონი ძეალ-რბილში ჰქონდა გამჯდარი. ევრსიოე-კაციული ელემენტები არ ებუღებოდა. შექმლო კონვენციო-ური ლექსი ეწერა, წერდა კიდევ, მაგრამ გამოხატვის ფორ-მად თავისუფალ და თეთრ ლექ-სებს არეკდა.

თამაზ ბაძაღუს ლექსის გარე-ფაქტურა იდებს გამოხატვას ემსა-ხურება - თავისუფალი სტრიქო-ნები, აუქქარებული რიტმი, რთული მეტაფორები, მსუბუქი ინტონაცი-ები, ნაფლენი ტონალობები, მის-ტაგური პათოსი და ფაქტალიზმი.

მის პოეტურ ქვეყანაში ყველა-ფერი არის მყიფე, მსხვერვადი, მითოლოღრე და მისული საბუდის-ნური ზღვართან, საიდანაც ერთი ნაბიჯია ეატსტროფამდე, მაგრამ კრიტიკულ მომენტში ყოველთვის ჩნდება მცირე ბიძგი და ინყვი-მობრბაბა სიცოცხლისაკენ.

საკუთარ თავთან იმი ჰქონდა გამართული. მძაფრი შინაგანი ქი-დელის კვალი ეტყობა მის ლექ-სებს.

გამუდმებით ეძებდა ადგილს, სივრცეს, დროს, როგორც საკუთ-რებს. დროსა და სივრცეს აღიქ-ვამდა ერთად, განყოფილ, ყო-ველსდამებეც იდვად, რომელიც პო-როვნებაში უნდა განიფებულოყო



თამაზ ბაძაღუა და ივანე ამირხანაშვილი (1986 წ.)

ამაღლებული, ზეიშიური განცდის სახით.

არ მსურს ვისაუბრო იმის შესახებ, თუ რა მძაფრად ელინდობდა მის ხასიათში არსებობის ტრანსიზმისა და აღ-სასრულის მოტივები. მას აღმოაჩინდა ნინასწარმეტყველე-ბის განსაცვიფრებელი უნარი, ცხადად ხედავდა მწარე აღ-სასრულებს და ცდილობდა ეს ხედავა მეტაფორად ექცია, მაგ-რამ ეტყობა ყოველივე იმდენად რეალური ჩანდა, რომ ის ტროპის ჩარჩოებში აღარ ეტეოდა.

ფინალობის თემას ძალიან მძაფრ განცდებს უკავში-რებდა, ბევრს წერდა აღსასრულზე, წყველიდაზე, ცრემლზე, სასაფლაოზე.

„შენ იმ ვარადიეთი ხარ უბედური, რომელიც ქტქნება გამ-ლისთანავე“ - შექმლო ეს სიტყვები ნარმოთეცა და ყოფი-ლიყო სრულად გულწრფელი და მართალი.

შექმლო ისიც, რომ სიკვდილზე უსაუბრა, როგორც სიმ-შეიღისა და ნამდვილის არსზე, როგორც გარდუვალობისა და აუცილებლობის მოტივზე. თუმცა სიცოცხლე იყო მის-თვის მთავარი, როგორც არსებობის აზრი და მიზეზი, რო-გორც მარადიული ყოფნის ფორმა.



ჰქონდა, როგორ არ ჰქონდა ბედნიერების განცდა, მთელი არსებით ეტრფოდა სიცოცხლეს, რომელიც ყოველდღიურ ზეიმად წარმოედგინა, მაგრამ იმასაც გრძობდა, რომ ეს იყო ილუზია, მოჩვენება, საბედისწერო თამაში. უფროდ აღსარულის ფაბულურმა წინაფერწობამ წარმოუვა მასში ცნობიერების ის ტიპი, რომელსაც დააფუძნა თავისი შემოქმედება.

მისი ყველაზე პესიმისტური ლექსიც კი ეს არის არა სასწარწკვეთილი ადამიანის მოთქმა, არამედ ხმა ადამიანისა, რომელიც სასწარწკვეთილების ლაბირინთში მოუხმობს იმეღს. ამიტომაც განსაკუთრებულ ფუნქციას აკისრებს ხელების პლასტიკას – სინათლისა და სულიერების სიმბოლოს.

ოჯახის შექმნის შემდეგ მას ჰქონდა კიდევ ერთი, უკანასკნელი გამონათება, ეს იყო იტილია.

1984 წლის სექტემბერში იმოგზაურა აშენინებზე, მოიარა რომი, ფლორენცია, ვენეცია, პადუა, მილანი. აღფრთოვანებული დაბრუნდა. ბავშვური აღტაცებით უყვებოდა შობაბტვილებებს. იმავე წელსაც დაიწყო ფიქრი იტალიური პოეზიის სამტომეულის თარგმანზე. ამისთვის დედნის ენაც შეისწავლა. ეს იყო მოვლენა, რომელმაც შეცვალა მისი ცხოვრება. ამბობდა კიდევ, ახალი ცხოვრება დაიწყო. შინ ჩაიკეტა. გარეთ ხშირად აღარ ჩნდებოდა. კაბინეტი მონყო. მოიპარაჯა წიგნები და ფურცლები, საბჭოედი მანქანაც იყიდა, იმ დროისთვის იშვიათი ფუფუნება. იჯდა და მუშაობდა. ჩქარობდა. აშკარად ჩქარობდა.

სხვათა შორის, იტალიურ თარგმანებში ჩანს ის თამაზი, რომელსაც არჩივილურ შემოქმედებამ ვერ ვხვდებოდა. ნათელია, რომ სრულყოფილებამდე ფლობდა ტრადიციულ ლექსს, რიტმისა და რითმის ნიუანსებს სიღრმეებამდე სწვდებოდა.

ხშირად მიუძეირია, როგორი იქნებოდა თამაზი, დღეს რომ ცოცხალი ყოფილიყო. როგორ აღიქვამდა, როგორ განიცდიდა, როგორ შეაფასებდა ყოველივეს, რაც ჩვეს თავს ხდება, საით წაუდღოდა, რა გზას აირჩევდა, სად დადგებოდა.

ერთხელ ძალიან გვიან, მუადამის პირას მოვიდა ჩემთან კივის ქუჩაზე. სადარბაზოდან წუშად, ფეხაკრფით მოადგა კარს, ყოველთვის ასე იყო. ფრთხილად, ხაზგასმული მორიდებით დააკუნდა. სახეზე აღუნიღო იყო. ხარბოშზე მგტად აფორიატება ეტყობოდა. თვალეებში თითქოს შიში

ჩასდგომოდა. შინ არ შემომყვია. აარ გინდა, ბიჭო, არ გინდა, ყველაფერი ამოა, ყველაფერი იწვის და ინგრევა, – ამბობდა უჩვეული აღტაცებით, – საცაა ყველაფერი თავზე დაგვეშობა, გამოვდი გარეთ, ნახე, რა ხდება!

გოგი მასუტაძისგან მოვიღო. ძველი თაობის ლიტერატორებს ახსოვდა ეს სათნო ადამიანი, სამეგობრო კაცი, შესანიშნავი მთარგმნელი გერმანულ-პოლონური ენებიდან. მარჯანიშვილზე ცხოვრობდა, ვერის ხედიან.

„კირონიზი“ რომ ამოუვლია, მოედნის კუთხეში ხანძარს შესწრებია, პურის მაღაზია იწვოდა. სულთი ხორცამდე შეეძრა ამ სანახაობას.

მეტრომდე გავაცილე. მოედანზე ხალხს მოეყარა თავი. ცეცხლი უკვე ჩაქრთი. მაღაზიის დანახმარებულ ინტერიერი მი შეხანძრეები აჩრდილებივით ირეოდნენ.

სრულად გამოფხიზლებული გაფრთოვებული თვალეებით უყურებდა, რაღაც ფარული მიში დაუფლემობდა, ეტყობოდა ხედავდა და გაინცდიდა იმაზე მეტს, ვიდრე იქ ხდებოდა. „აი, ჩვენი ბედი!“ – მხოლოდ ეს თქვა. დაუმშვიდობებლად განეცალა და მეტროში ჩავიდა.

გული უგრძნობლად საშინელის მოახლოებას.

ეგრეთ ნრდებულე პერესტროიკა დაწყებული იყო.

მან იცოდა, რომ ახლოვდებოდა თავისუფლების ფაში, რომელსაც ძველი იმედები უნდა აეხდინა ჩვენითვის, მაგრამ ფრთხილად, იქვენულად აფასებდა მოვლენებს, თითქოს არ სჯეროდა, თითქოს შიშობდა, არ მოტყუებულყო, საშუალოდ არ გასცრუდებოდა სასოებით ნაგროვები მოლოდინი. როგორც ჩანს, შორს მიუწვდებოდა მზერა, გრძობდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური კატაკლიზმების მოახლოებას, იცოდა, თავისუფლების მოპოვება მჭირდ დაგვიყვებოდა. და მაინც, რა იქნებოდა, დღეს რომ თამაზი ჩვენი გვერდით ყოფილიყო?

იქნებოდა ცხოვრება უფრო ადვილი. და გავიგონებდით იმას, რაც დარჩა სათქმელი.

სათქმელი კი მართლაც ძალიან ბევრი დარჩა. ბევრი რამის თქმა სურდა, ბოლომდე ვერ გაიხსნა, ბოლომდე ვერ გადაშალა გული, თუმცა ყოველი ახალი გამოცემა, ყოველი ახალი შეხვედრა მის შემოქმედებასთან დაგვიანებდა, რომ მან შექმნა პოეტური ქვეყანა, სადაც თქმელიც და უთქმელიც ერთნაირად მჭირდს და გასაგებია, სადაც მუხუბი საუბრობენ იმ ენაზე, რომელსაც სამყაროს ახსნა შეუძლია.

მასპარეზი-ინტერვიუ

ლელა კოდალაშვილი

„მთავარი, მაყოს რწმანა“

- თქვენი აზრით, რა არის უკიდურესად გაჭირვებულ მდგომარეობა?
- მომენტს, როცა ქმედებამუხალეული ხარ და გასაქანს ვერ პოულობ.
- სად ისურვებდით ცხოვრებას?
- თბილისში, მთაწმინდაზე – ანუ სადაც ცხოვრობ.
- რა არის უმადლესი ბედნიერება?

- სიხარულის მომენტის იმ ძალით განცდა, როცა ყველა სხვა ფიქრი და პრობლემა იჩრდილებოდა.
- თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები.
- ყველა ის პერსონაჟი, რომელიც წანარმოებტის ბოლომდე განახლებებისთვის იბრძვის, პრობლემებს არ ნებდება.
- თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები.
- გმირები, რომელთა სახელზე ისტორიის არ შემოიარა.



- თქვენი საყვარელი მხატვარი?
- პოსტ-იმპრესიონისტები.
- თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?

— ფრედერიკ შოპენი, კამილ სენ-სანსი, ჯენის ლინ ჯოპლინი, პობ დილანი და სხვა.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად მამაკაცში?

— ღირსებას, ანალიტიკურ აზროვნებას, განონასწორებლობას.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?

— მოშიზილაობას, ქალურობას, შემოქმედებით უნარს — ნებისმიერ დიდ თუ პატარა საქმეში გამოხატულს.

— რომელი ადამიანური სათნოებია თქვენთვის უფრო მოშიზილაოვანი?

— სიკეთე ხელმოწერის გარეშე.

— თქვენი საყვარელი საქმიანობა?

— მოვალეობის დროს — სატვა, თიხისგან მძივების ძერწვა, გიტარაზე დაკრა.

— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდობდათ ყოფილიყავით?

— ლლა კოდალაშვილის კორექტირებულ, ზოგთვი-სებაზამოცდლოლი ვარიანტი.

— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?

— უნარი, მოეუნაბო ახსნა ყველაზარი პრობლემას და ამ გზით გაახადო იგი მსუბუქი.

— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?

— ერთსახეობის თუ ჩემი ცუდი და კარგი თვისებების სწორად აღქმის უნარს.

— თქვენი მთავარი ნაკლი?

— იმპულსურობა, პედანტურ-დიდაქტიკური მსჯელობები, ზედმეტი გულწილობა, სიზარმაცე.

— თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?

— ეს არის მომენტი, რომელსაც მყისიერად შევიგრძნობთ და შემდეგ ამგვარ მომენტამდე მისით ვიკვებებით.

— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?

— მრავალი ფაქტი და გარემოება. ჩამოთვლა უახრობა იქნება.

— როგორი გინდობდათ ყოფილიყავით?

— პირველ რიგში მშვიდი.

— თქვენი საყვარელი ფერი?

— წითელი.

— ყვაილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?

— თითქმის ყველა ყვაილი მიყვარს.

— თქვენი საყვარელი ფრინველი?

— წერო.

— თქვენი საყვარელი მწერალი?



— ფრენკ პერბერტი, დოსტოევსკი, ფოლკნერი... ჩამოთვლა შორს წამოყვანს.

— თქვენი საყვარელი პოეტები?

— გურამიშვილი, ვაჟა, ბროდსკი, ხარანაული... ისევე შორს მივდივარ.

— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?

— გამოკეთილად საყვარელი გმირი ქალი არ მყავს.

— საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?

— ყველა ის, ვინც დიდსულოვნების, სიკეთის, ნიჭიერების მაგალითს იძლევა.

— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?

— ყველა ის დედა, რომელიც შვილს კეთილი ნებით უშვებდა ბრძოლაში.

— საყვარელი სახელები?

— ყველაზე ცუდადგურად და ყურისმოძრულ სახელსაც შევიყვარებ, თუ იგი ჩემთვის საინტერესო ადამიანს ჰქვია.

— რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?

— სიყალბე და გულგრილობა.

— ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზილი დაიმსახურა.

— ყველაზე სისხლიანი პიროვნებების (ჩინგიზ ხანი, პიტლერი და სხვა) მძებრითაც კი ჩვენი ზიზილი შეიძლება შეიცავდეს ალტროთვანების ელემენტებს.

— საომარი მოქმედება, თქვენი აზრით ღირსი მეტნაკლები აღტაცებისა.

— პანიბალის ბრძოლები.

— რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?

— დავით აღმაშენებლის მიერ ყიფილების ჩამოსახლება და რევოლუციური ჯარის შექმნა.

— ნიჭი, რომელსაც გინდათ, რომ ფლობდეთ?

— ის პატარ-პატარა ნიჭები, რომლებიც მაქვს, კონცენტრირდეს ერთ დიდ ნიჭში.

— როგორი გინდობდათ, რომ მომკვდარიყავით?

— ამაზე ფიქრით ტვინის ქვლეტვას, ვფიქრობ, აზრი არა აქვს.

— თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?

— მონსტრიგებულა.

— ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?

— გულწრფელი სინანული.

— თქვენი დევიზი?

— დევიზები იცვლებიან იმის მიხედვით, თუ როდის ვის და რის წინაშე ვარ პასუხისმგებელი.

— თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?

— ის ყოველთვის მელაპარაკება — მთავარი, მეყოს რწმენა და გავიგონო.

ოთშაბათს, 18 ნოემბერს ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში გაიმართება

როსტომ ჩხეიძის

საჯარო ლექცია

„კაცობრიობა, პირი და მისხაო წერეთელი“

დასაწყისი 13 საათზე

კოსტავას 5



სულიერი თანაზიარობისა, რომლის რღვევამაც უპირველესად უნდა იქნას აღწერილი

გია ხოსროვია

კოკორიას ალსანოვლი

ზუსტად მახსოვს: 2004 წლის 17 მარტს ღამის 2 საათსა და 20 წუთზე გავათავისუფლეთ დედაჩემი. მოცილია სასჯელთა ჩემი ტვირთშიწვილობა და გამაღვინდა მწივარს სასჯელარდა არა კომპიუტერული ბოსლისა აქა-იქ ამოკეცილ იატაკზე. ამ სინდელში ვერაფერს ვხედავდი, მაგრამ დაბადება მაინც გამიხარდა. ცალკე არსებდა, ვინმეზე არ რაიმეზე ერთფულად მისათვლელ მსუბუქავად წარმოვიყვი და ასეთი ბუნდირების დაუმასხვრებლობა იშვიათი სულიერი სიძულუნაა. თქმით ხომ უნდა ვთქვა: რაც პირველადვე შემოგვიყვინა გულზე, ოთხფეხი იქნებოდა თუ ორფეხი, რა მნიშვნელობა აქვს ან ფეხების რაოდენობას ან სასუკუნის ნომერს, მაგრამ სინდელე რომ დამეძღა, თანაც იმ ოდროსოლორ განვინილობაზე, რკინიგზის მოძველებული შპალისა და ალიზის ურთიერთმეცხეობით რომ გამიორჩევა, მოვადინე ჩასველებულ-განსუხულ-ჩაიხრებულშია მწივარს, რაც მართალი მართალია, ქუჩის ენაზე რომ ვთქვა, გამიტყდა, ხოლო შუაგულ ენობრივად, არ მესაიმოვნა. უფრო მაღალი სადღესობითაც შემოძლია გამოეხატო ჩემი პირველი შთაბეჭდილება, მაგრამ დაბადებისთანავე ხომ არ მოვალე ბირს და ტლიკონს ხომ არ დავინწყებ ზოგიერთი უკულტურო სულდაგმულით. არადა, მნიშვნელობა ნამდვილად აქვს, პირველი გამოცხადებინდნენ, როგორ გარემოსა და საზოგადოებაში მოხვდები. რამდენი ჩემნაირი დაბადებულა, მათგან განსხვავებული და სპეციალური პროგრამით ჩაფიქრებულ-გამოსხლებული კი არ ვარ, რამდენს შეფაცქალებია პანაინა გული, სახალისა კევნაგაგანებისას. მოდიოდნა, მოდიოდნა და, რომ გგონია, ერთი სამოთხიდან მეორეში გადადიხარ, თავისებურ სისულაჩქობადა გრძნობ, რაც უნდა იყოს, ადვილმონაცვლავთ, სხვაგან გადადიხარ საცხოვრებლად, სხვა თვალის შემოგზედავს, სხვანაირი ას-

სტილური ძიებანი, მახვილგონიერება, იუმორისტული საფანელი და შინაგანი დრამატიზმი ის ნიშნებია, რამაც ოსტატური ხორცმცხმისი წყალობით გია ხოსროვია მოუპოვა თავისი ადგილი ჩვენი სამწერლო ცხოვრების მდინარეში.

მისი მოთხრობებიდან და რომანებიდან მხოლოდ მარჯვედ, მომზიდველად განვითარებულს მიიჭრება ან კოლორიტული, გამოკვეთილი ხასიათები კი არ გვაძახებოდა, არამედ ვინის სინოყვირე, ეფექტური სიტყვათმადობაც და სტილური არტიტიზმიც, რაც ასერგად ვაიშვიაფდა თანადროულ ქართულ ლიტერატურაში და არამარტ ვარგონამ და უხამსობამ ნალკოს ღამის სამწერლო ყოფა, არამედ სიტყვაკაზმულობად გასაღებულმა ფსევდოფურნალიზმამაც.

და ასეთ დროს ნუგეშისმომგვრელია ყოველი მცდელობა - შენი გზით ციო ნამდვილი ლიტერატურული ფასეულობანი და ჩვენი დღევანდელი მსდევარება წარმოსახო ათასგვარი მანერით, მათ შორის ალევროული თუ სიმპოლური სტილისტიკით.

გია ხოსროვიას ახალი მოთხრობა „კოკორია“ ხბოს ავტობიოგრაფიად წარმოვიგებება, თუმც დაკვირვებული მკითხველი ამ დრამატული თევადასავლის ფონზე ბერ რამდენს მოვდებს საჯულისხმოს, უპირველესად კი შეხსენებას კეთა და ცხოველთა სამყაროს დიდი სიძულუნა, თუ განწყვეტილი ძაფების აღდგანაზე ყველამ ერთობლივად არ ვიხრუნეთ.

ესეც გია ხოსროვიას წვლილი ამ ძაფების აღსაღვანად - გულისშემჭრელი ღაღადისი „კოკორია“.

პარეკი გადაგვლენა და ხარ ასე გართულ-წამოსული, ასე გაარხინებულს, ასე აღებურმოდინდინანი და უცებ სინდელში მოადენ ბრავგანს. ესეც საოცრებაა, მაგრამ უკუსაოცრება, რომ ავატირებს და ავალეულებს სიხარულისაგან. რას შერებო, რა უნდა ჰქნა, რანაირად გინდა ნახვიდე, თორემ ნალდად საჯოს უქან მიხრუნება.

მერე და მერე, კარგად რომ დავაკვირიდი, ჩემი ვარიანტი, დაბადება მაქვს შედეგელობაში, მთლად ოქრო და ეერცხლი ყოფილა, უნვალბლად, გადაქაქვა-გამოქაქაქების გარეშე გამოებრძანდი, კულტურულად რომ მოვიხსენიო ის სუთი, ის დროულობა. შენ და თქვენ, რამდენიც უნდა იყოთ, სხვა ვარიანტიც უნდა გეხანათ, ჩემი შემდეგომების, ხან ერთ ჰქნას, რადაც ვაქაქებდა ასახივებ ბებიი და ხან მეორეს. რომ ვერ ჰქნას, რაც უნდა ექნა, შენაწი ამ ფეხებზე უქან და ცოტა ხნის მერე ოთხი გამომჩნდა, მისი დაგრობილი ქართულითი რომ ვთქვა, ერთიათინე. ორს ვერაფერი უქნა და ოთხს რას უხამდა, ის ლელვის ჩირი! გასკდა ძრობა ბლავილით. ტყუილა იწვალა ლღვის ჩირმა. მე კი ვიყავი კაი ხნის დაბადებულსი და რა შენალეუბადა სხვისი ნამომცდააჭირი, მაგრამ თუ აზროვნებ, ბოლომდე ნესიერად უნდა იაზროვნო. შემეცოდა ამქვეყნად ნვალბისათვის მოსაველრებულს. ეტყობოდა ასამინასაც რალაც ახალი სირთულე შეგება პრაქტიკაში, თუშეცა ნარ და დაბნეულა და ისეც შეტეხა ოთხივე ფეხი უქან. ხან ერთი ჩაუხნიჭა გაჭირებულს მაქვს, ხან შეუცვლელს ჩაანვა გამჭირალი ხელეობანი, აქედან, იქედან მივიგვიმ-მოვიგვიმმა და როგორც იქნა გამოყო ნინა ორმა ფეხმა თავი, რასაც სულ მალე, ფეხების თავი კი არა, ჩემისთანა მაიმუნის თავი მოჰყვა.

მაღე სინათლე აინთო და შემომსივინებ გააზრებულსი დაბამანები. ეტყობოდა, დედაჩემმა მესიერე ვახარაზანა პატრინს. ქალი და კაცი იყვენენ. ისე მეალერსებოდინენ, სულ დამავინწყდა წელანდელი გულმოსულობა. კინალამ გახარაზნი ჩემს თავზე, ცუდი სიტყვიტი რომ ნამომცდა გამოვერინებისთანავე. მეალერსებოდინენ და შევერებოდინენ, რალაც-რალაცეებს ენის მოჩლექქეთაც კი მინახდებდენ, მაგრამ ადვალკონს შუაქეთებმა პირველმა მიხალბებამ და პირველმა აპტიტურობამ იმდენად შთანთქა ჩემი ჯერ კიდევ განუხარებულე გონება, ყურადღებას არ ვაქცევდი ამ გახარებულთა სიხარულს.



მაგრამ გამომარეობი მაინც არ გამომმარავია, როგორც შურით მიყურებდნენ ჩემიანები. ზრდილობის ოდნავი დატყობის მიზნით, რომელიმე ერთხელაც რომ ნამომდგაროყო, ერთხელაც რომ მომსალმებოდა, მიხასუსებ, თუ ჩემი ძმა ხარ, ცხოველი ცხოველად არ დარჩებოდა თუ რა ნამომდგარობის მატჩინვე გაუსკდებოდა, კუდი მოწყვებოდა და გვარიშვილობა შეეცდებოდა? მაგრამ მეც კი ოხერი ვარ! იმათ ვინაზე, ვაბურთავებდი და ვაბურთავებდი დედამჩემის ჯიქნებს და კუდასაც ნარამარა ვაქიცინებდი აქეთ-იქეთ მომეტებულთ სიამოვნების ვაჟი.

უზრდელები და ბრიყვები! ისე ჩვენში დარჩეს და ლუარსაბ თათქარიძე ნებისმიერ სულდგმულში ყოფილა. მხოლოდ ჩოხა-ახალციხის ჩაცმასა და ხანჯლის შემოჭრახე კი არაა ლაპარაკი.

— განსაკუთრებით ჩემი პატრონი, ბიჭი რომ აღმოჩენილი, იმან გახარა. ცალკე კარგად მოსულთაგან უფრო ადგილი გამოიყო, ახალთახალი თოქი ჩამაბა, სახელიც შემირჩია და ტყა-სამაზე ხომ ერთხელაც არ სჭირდებოდა შესხენება. ხანდახან ცოლისგან მალულად ამიშვებდა. ვეცემოდა მოშივებული ძუძუებს და ოთხივეს უტეც დავაყვავილებდი. ვიშვებოდა პატივცემული ქალბატონი, მაგრამ მისი ქმარი, შემდგომში ჩემი ძმაცაქი, თითქოს ჩემს გასალანთლად, საგანგებო მწუხარებით იტყოდა:

ბანარი გაუწყვებია ამ გასაძლელეს და ანი უფრო მსხვილით დავიბამ!

— ამ სიტყვებს ისე არტისტულად ამბობდა, კარგად ვხედავდი, ცოლს რომ ატყვიალებდა და მე მეკალერტობოდა, ამიტომაც, თანადგომისა და სიყვარულობის ნიშნად, იმ ნინადედებს დამთავრებისას თვლი ჩაუტყარი. მართლაც ვამეტიანი კაცი იყო ჩემი აღმზრდელი და პატრონი ლუკიანე, ნამდვილი ჯიჯარი.

— გეზებენი, ამიჭი, რა იქნება, თალიკო დეიდას მოსულამდე! — შევუწნდებოდი ბოსელიმ შემოსვლისთანავე. რაზეა კოკორია ლაპარაკი, მიდი, მიანევი ოთხივე ფეხით, შე დაფხზრიკული - ნამახალისებდა იგი და თოკის შესხას არ ვაცლიდი.

— დედა, რას იწყებოდა აქაქანებულ თალიკო! წველის მეტი რა მომხსენება სოფლის ორბოლებში, დუდგავდნენ ყველაფერს ჩამორჩლარტული ქალები, მაგრომ უნ დეიდა რომ ნამოარტყამდა, ანნარი კოკორიული არსად მინახდა და მყურებოდა. აუღლებებოდა-ბოლომინებული ბოსლიდან რომ გარბოდა, გვერინებოდა თვითონ ცალკე მიდიდა და ვალინკები ცალკე.

— მავას შეატენე ყველაფერი, მავას! სტუმრები და განსაკუთრებით შენი ძმაცაქები რომ ჩამოგიტანანდებიან, შეუტედე, ერთი, ყველის მავერი რას გამოუტანს! თქვენ გამსკდარბართ ორივე მუცელზე! რავა მარბინებებ ტყევილა იქეთ-აქეთ! არ ნახვალ თავს, სულ ხვარ იქნები სახლში, მავას ქე გავუჭეჭეკავ თავს, მა ჭიადელას!

გვედობოდი ორივე სიცილით. აუ, დმერთმა მოგცეს კარგ დამიანთან საქმე! სულ ჩემ ბიჭსა და ჩემ ბაბანას მიძახდა.

— ვლახა ქალი არც თალიკო დეიდა ყოფილა, მაგრამ ერთი ძუძუს მეტს არ მიტოვებდა გამოუწველას. თან მინახებოდა, მოდი და ვასკედი. ერთი ძუძუ რას გამშეთქოვდა. ვეღარ მოვითინე და ნანყენმა ვთხოვე:

— თალიკო დეიდა, ისა, ისა, არ შეიძლება ორი ძუძუ დამიტოვო? გეხვენები, დამიტოვე რა, ძალიან გემრიელი რძე აქვს დედაჩემს!

იმდენი მირტყა, იმდენი, რაც გამოუნოვე, ისიც უკან გადაგიწინებო. ვერ გავიგე, რას მერწოდდა ის ქალი. დებგვილ-დებგვირტულს ტარილი დასწევდა და, კიდევ რომ არ მოეცხო, საპირეში ჩაეხტა და ჩავიმაღე.

როგორც იქნა, გამორდა იქაურობას თალიკო. დედაჩემმა მითხრა, რა ბოთე ხარ, ბიჭო, რა ბოთეო, დეიდას რომ ეძახი იმ ქალს, გავლახავდა, აბა, გულში ჩავიხტებოდა.

— ვაი, ჩემს თავს! მე მეგონა, რძის უხვად მოსურვილების გამო მემობიტებოდა! თორმე ვლახძლავი იმ პატივცემულს, დედაჩემის დას უწოდებდი და მომიტებოდა, აბა, რას მიხამდა კიდევ ოლად გადაეჭრა! თუმცა მეორე დღეს კულტურულობა გამოიჩინე და ნარბებამკოულს მიმარევი მოწყენილობით მივმარევი, ვიდრე ნამოთაქებდა არამდგავოგორდა:

— ძალიან რომ შენიყვარდი, მიცომა გინოდებდი ალერსობით სიტყვას, თორმე მე, პატარამ, ძალიან კარგად ვიცო, ადამიანი, თანაც თვევისთანა მშენიერი, საქოლის ანუ პირტყვის დეიდა რომ არაა. მეტჯერ არ ვიხან თვევის სანყენ უხვობას სიტყვიერი გამოითქოთ და, გემუდრებოთ, არც დამიმეფროთ, არც ნამოთაქით და შედლად თუ არა, ცოტათი საწყეოდ რძე მაინც დამიტოვოთ დედაკონს ვეიქნები.

იცინა, მარა რა იცინა, იმ პედაგოგორმა ქალმა, ლამის კინადა შეწუნხდა. იმწუთმივე შევატყე, რა ფსიქოლოგია დავატრიალებ, და ჩემი პატარა ლამაზობითობის გამო, იმ გაციონტულის გამო, მეც გავცინდ-ავცინდნობდი.

ასეა, ზოჯჯერ ერთი ფინჩა მოხერხებულობა ნაადგება საქმეს სასიკეთოდ. ცოტა უნდა მიიხედ-მოიხედო, მიატრი-ალ-მოატრიალო ჭკუა და, რაც უნდა გატყრება გამოიგისტეს, იმ გატყრებისგან დამირომა ყოველივეს გამოინახება. კინადა შეწუნებული ოლად რომ მომწვლინდა, სულ კუდრახა და სახამოფრო მიამუნი მიძახა, თუმცა მხოლოდ ეს არ მამარა და იქვე გამომინერა ლიმიტა ჩემს დედიკონას-გან დამამკავალდებულებულ საკვების მისაღებად.

მაგრამ ლუკიანე უფრო მიყვარდა მინც. სულ სხვაა კაცი პატრონის ყურადღება და თილისმური შემოფერება. თანაც ბიჭი რომ ვიყავი, ეს ავიკებოდა. მალე ნამოწუნდები და ხარი რომ გაბდებე, ჩემი მარჯვენა და მარცხენა ხელი იქნებოი. რა თქმა უნდა, ციცქანობისას არც კი ვიციოდი, ხარი რა ჯადოქრულობა ყოი იმ ბედნიერთათვის, მაგრამ გლახა რამეს რომ არ მიქაძლდა, გონიერად ვხვდებოდი.

როგორც იტყვიან სოფლის მაცხოვრებლები და მათ შორის ლუკიანე, წინ და უკან მატენიდნენ საქმელს. ნე-სითა და რიგით მალე უნდა გავზრდილიყო, ამგვარ ტყინი, მაგრამ ორ-სამი თვის მერე რა უნდადაბა და ოხრინა მავნი, ვერც პატრონმა გაიგო და ვერც მე. გაშლიერებულ კეხაზე კი ვიყავი, მაგრამ ნონამ ვერ ვინახებოდა და გადადებულ მძორივით ჩამოგტიალდა. ჩემს დამანახულს, მინარ-საცა და გარულსაც, გულზე ვყრებოდა. ლუკიანეც დამი-სვედიანდა. მართალია, არ შეეზოხლებოვარ, მაგრამ ნაკე-დავა მაინც შემატყვა. აქა-იქ თუ ნამოცდებოდა ჩემი ნამდ-ვილი სახელი - კოკორია.



თავის მოკვლა კინაღამ დაგაპირე ექვსი თვისამ. დამანყდა ნერვები. ჩემი ტოლანები დაბალ მესესრს ახტებოდნენ უკვე, მე კი ოდნავადაც რომ ნამოვისინებინა ქარს, ბოსნელი მამწყვედვდნენ, ვზო-კარმიდამობი გამომღენქე-სულად მდგარი რიონიდან გამოფერინელ პაერს მეზობლი-სას რომ არ მოვეშტავილებინა. ნაკვება და შეკიდვის სუ-ნადინებური კი ვიყავი, მაგრამ რასან სული შერჩენილი მქონდა, თავმოყვარეობაშეღაბულად ვგრძნობდი თავს. ნამჟსიანად რომ ვითხრათ, მრცხვენოდა. თვალებს ვერ ვუსწორებდი ლუკიანეს და მისი გამოვლისას ორ-სამ ფოთ-ლიანი პატარა მცენარეც კი მეცმაროდა დასამალავად.

დედაქმემაც ამაღო ხელი. სხვებთან ერთად მეც რომ გამძევებდნენ საბალახოდ, თვითონ დაადებდა თავს და ისე გლიჯინ-გლიჯინით გარბობდა წინა დღით შეთვლიე-რებულ საზრდოსკენ, იმას ვინ დიდნენოდა. ყველა მე მირ-ქნდა, გვრდნუ მაგდებდა, არავის სურდა ჩემს სიახლო-ვებს ყოფნა და ამხანაგობა. ამიტომაც, დღითი იყო თუ სა-ღამოს, სულ ბოლოში მიეწინააღმდეგე, ჩემი პატარა ჩაფქ-რებულობითა და უსახელო ნალექ-სიმწარით. რამდენ-ჯერმე სახლშიც არ მივსულვარ იქვე ახლო ტყეში უაზ-როდ გატრუნული. მაგრამ, ბედი შექცია ამას თუ უბედობა, თქვენი თვითონ განსაჯეთ, არც ტურა მომკარგება დასა-ფუფუნებლად და არც ორი კაკალი მგელი, ხანდახან იქაურო-ბას რომ იკლუდნენ კიბოლი. ტყმაბა, გლახაკი და ღენ-ჩად შემომყურებ მტრისაც ვხარებდა საქმეობად.

სიცოცხლის, თანაც გამწარებული სიცოცხლის სიბო-ბო, როგორც ჩანს, მაინც თავისებურ ბიძეს იძლევა, და მეც, ვითომ სულერი, დავათრედი თოხიურ ფეხს ამ ვალდებულებას.

— ერთობ, უკვე წლისამ, ოცდამეცამეტე კილოგრამს რომ ვინორიდი მთლად, ყური მოვკარე ლუკიანეს შუბასუბებას ვივაც ოხერ-მუდრევი მეზობლისადმი, რომელიც ჩემს გა-დადებებს ურჩევდა ჩემთვის ისეც და ისეც საყვარელ პატ-რონს. მაგრამ იყო ლუკიანე და იმ დამამალს მიახალა:

— შენ, ბიჭო, თორმეტი წლის იყავი, პირველად სიტყვა დედა რომ ამოცვდა მაგ ორმოცეპილიანი პირიდან და კარ-ცა ხანს სხვას ეციხებოდი ქუჩაში გადმოსული, თუ სად ცხოვრობდი, კოკორია ახლა შესრულდა ერთის და ამის დეფექტები რატომ უნდა გამიკვირებდ. გაიარე და მეო-რედ ცუდი არ ნამოვცდეს ამ ჩემს აღსაზრდელებზე, თორემ უფრო მაღალ საფეხურებში საწყნით მოგმართავ.

ქუჩის ბიჭების ენაზე რომ ვიყავი, მაგრად გამისწორდა.

— ამ გამოქომაგების შემდეგ ჩემთან მოვიდა ლუკიანე. არ გამოჩნდულვარ. ზურგზე გადამისვა ხელი და ჩაიხუ-ლა. მორიდებისაგან ისე დამიწყო ყურებმა შიშინი, კარგად ვერ გავიგე, რას მეზუტუბუტებოდა, თუმცა ის ბუტუბუტი აულერს რომ იყო, კარგად ვგრძნობდი და ჩემი უშინძენე-ლო ნონა მემსუბუტებოდა.

— რა დაგმართა, კოკორია ძირიანო, რა ენმაკი გეტყა-ბოქო! რა ჩავყვდა ამისთანა მოუწლებელნი, რომ ვერ გიტყა-ნენ და გააღვიწინენ, სანამ გინდა, ასე მწაჭე და დაფრტინა იყო! ნუ დამიბოცავ მეზობლებს აჯგარით, თორემ ხომ გაი-გებენ წელან, მხოლოდ ჯგარით არ მჭაყუფებდებიან და შეიძლება ზოგი მალე გასასვენებელიც კი შეგვექმნეს!

— რა უნდა მესაუბრა, მაგრამ აქა-იქ შემორჩენილი ძა-ლა როგორც ენა მოვიკრიბე და, მთლად მეკადრე რომ არ ვგონებოდი პატრონს, ძლივს ვთქვი:

— ტკილით არაფერი მტკივა, პატრონო ლუკიანე, ისე, ჩემთვის გავუგებარ სისუსტეს ვგრძნობ, არც მომწალა და არც დამპირება.

— ნუ გეშინია, კოკორია, სუსტებისა და ცოცხლად მეკვდებიან მეტი რაა ან ქვეყანაზე. მარტო ჩვენს ქუჩაში მაგისთანა დღეუნი დაბოლდა და იმის იქნეთ უაფრავაგა კიდევ, მაგრამ ფერს ნელ-ნელა ყველა ოცვლის და ისე უცებ ღონიერდებიან, ტელევიზორი და განუთი მათათუ უკეთესს ვერავის ამჩნევენ.

— ადამიანები რანაირად ხდება მაგ ფერისცვალება, მე საინდ უნდა ვიცოდე, ძვირფასო პატრონო, ერთი გაფ-სიორებული ოთხფეხა ვარ! შე მე შენ რომ განყენინე, იმას ვდარდობ!

— არ იდარდო, კოკორია! აი, ნახავ, სულ ცოტა ხანში რა მაგარი ბიჭი ენები! თუ გინდა ექმს მოგიყვას!

— არა, ძვირფასო ლუკიანე, ჩემთვის ექმის და ნამალი შენი მოგებაა. გუშინ ანგელოზი გამომეცხადა, ღმახი ფრთები ჰქონდა, ორჯერ შემომიჭროდა და ორჯერვე მითხრა, ცოტაც და მტრებს ვინაზე სამი კვირის ვახსარ-დედი ერთ კვირაში გაიზრდები. კიდევ რა მითხრა, იცი?

— რა, კოკორია?

— რადა, შენ ახლა იმტომ ჯავრიანობ, სამი წლის მე-რე მოკვდები, სამი წლის მერე წვალებით დალევ სულს და, ამჟამად რაც გჭირს, სამი წლის მერე მოსალოდნელს წი-ნასწამ შეტყობინებათ!

— რას მეუბნები, კოკორია?!

— ასე მითხრა, ნამდვილად!

ლუკიანეს მეტი არაფერი უთქვამს. ერთხანს შეფერა კო-დევე. ნუ გეშინია, ჩემი ბიჭო, დამიბარა და გამეცვალა. მა-შინვე მივხედი, რომ ჩემი საქმე უკეთ წავიღოდა, მალე გამო-ჯანსაღდება დამეტყობოდა. იმასაც მივხედი, რომ მე და ლუ-კიანე, გახარებულვას, წელანდელი ცუდნიანსარეცხვე-ლური ნაუბარი დაგავიზრდებოდა, სქელი ლაქა გადაფე-რებოდა ამჟამინდელიობას და წესიერი დღე წესიერ დღეს დაემსგავსებოდა, წესიერი ღამე კი ასევე წესიერ ღამეს.

— ჩავარდა ყინული წყალში. გაიარდა ჩემი მომთითო-ლობა და ჩემთვის არც კი უკითხავეთ, ისე მოვარდა უცეა-რი ტალა, რომელსაც ჩემი ნალექვა აზრადაც არ მოსე-ვლია. პირიქით, მთელს შიგნულობაში დამიბრალდა მისი სიღონიერი და სიმ გამაქან-გამომქანა ლუკიანეს კონდ-რინან ეზოში ახალგაზრდული ამობადლებითა და აბტინ-კავებით, გაოცებულმა ჩემთვის უცნობი ფიზკულტურა ნამოვრეც ყოველგვარი თვითორი მომზადების გარეშე. ხოლო არანაწყობად გაოცებული ლუკიანე კინაღამ გამე-ჯიბრა იმ ფიზკულტურულობაში, მაგრამ ნიკოტინით და-ფარჩაკელები სხეული მალევე აუბათქუნდა სანჯვას და მხოლოდ აქლმონიებულ ხარხარს თუ რაღაც ამდაგვარს დასეჯერდა.

აი, ასე უნდა ახალი დაბადება! - ვიყვირო მე და ძლიერ გათამამებულმა რჩინის ჭიმკარი წარმოვიდინე თამხად, თმცა დადამივრდა ძველებური შეგონება, ფეხები იქამდე გამაღე, სანამ საბანი გაგნდებოდა, და კინაღამ კისერი მო-ვიტებე. მხოლოდ კინალამ.

— მოვადე კარგი სიცოცხლე! მოვადე, მაგრამ რა მოვი-და! დაბნეულად გამოვლენილნი ჩემები ჩემ-ჩემად ეკითხებოდნენ ერთმანეთს, თუ რა ჯანდაბამ დამხარა ხე-



ლი, მაგრამ სწორ პასუხს ვერ დებულაობდნენ. მარტოლა დედაჩემმა დამიბოძალა ერთხელ:

— გაგიფიქრე, შე უპატრონო?

მე იმნოთივე გამახსენებდა მისი ადრინდელი გულციკობა და ჩვირწინ ისე მოსწრებულად აუტოტოტავიდი, უნამლევი ცხადყოფენა და გაუფუსულმა განავარძო გზა. თურმე ბულისკენ მივქრებოდა იმ სექსუალურად აღტკინებულს და მაინცდადამინც არ ეცალა ჩემთვის დამპირებულურ-აღმზრდელობითი მეცადინეობის ჩასატარებლად.

რა თქმა უნდა, ცველაფერის თავისი ადგილი და დრო აქვს. რიკ-ფანინის ფაზი თანდათან გამოილია. ნარამარა ვიზრდებოდი და ვაქცავოზაც მემეტებოდა. თანაც ბევრი რაიმე გავიგე და დავიმასსოვრე. ჩვენი სოფლური მიდამოები ამისთვის ზედგამოჭრილი გახლდათ. მართალია, ლუკიანე საერთო საძოვარზე არ მიშვედა, ხელზე გამომბულივით ყვევადი, ყოველთვის გამორჩეულ მენიუს მთავარზობდა, ძალიან შინაარსიან ზღაპრებს მიყვებოდა, მანათლებდა და მანათლებდა, მაგრამ ჩემთვისაც, მარტოყოფნობისასაც, აურაცხელ დასაკვირვებელ ობიექტს ვაგნებდი ხოლმე და თითქმის დღე არ გამომიტოვებია დამოუკიდებელი თვითგანვითარების გარეშე. თავიდანვე ბანარს ვერ შევიგავე, რადგან ჩავთვალე, ჩემი პირადი ღირსებები ილაბებოდა, დემოკრატიულ რომანტიკას მიმიმებდა ერთ ადგილზე წრილი, მაგრამ დროულად მივხვდი ლუკიანეს გადამწყვეტილების მოთვარ აზრს, საჭირო იყო რაც შეიძლება მალე შევეშობოდი ხელცივნიობასა და სხვის ეზოებში ნანწალს, რაც ავტორიტეტს გამიფუჭებდა, არა მხოლოდ პატრონის, არამედ შემდეგარე საზოგადოების თვალში. და, რაც უსწრავსდა ჩამენასკვა გონებაში, იყო ის, რომ პატრონისება და მორიდება ადამიანს კი არ სჭირდება მხოლოდ, ცხოველისთვისაც აუცილებელია.

კაცმა რომ თქვას, რაში მჭირდებოდა ცუდი სახელის მოხვეჭა. საჭედილი მაკლდა, სასამელი თუ სოფლია ბავა. ნამიერად დაურღვეველ რევიმში ვიყავი და მალე დამეტყო კიდევ ფიზიკური და გონებრივი განვითარება.

ბევრი რამ მოსმინეს ჩემმა ყურებმა, ბევრი რამ ნახეს ჩემმა თვალებმა. წლინახევრისა თუ ცოტა მეტის ვიყავი, ჩამოყალიბებული რომ მექონოდა ნორმალური ცხოვრებისათვის. ამ ახალის ადამიანებს მშობლები ერთი წუთითაც ვერ მოაცილებდნენ თვალს. სულ ჩაფხმულ-ჩაოხრე-

ბულინი არიან, ატატიბულებს დააპროწინალებენ იქეთ-აქეთ და ნამდვილად არაიენ იყის, რა ენმაკი გამოვას მათგან. დილაობით სკოლაში მიმავალ პაუზებს რომ ვუყუებოდი, სიცოლით ვეკვებოდი. სოფთაზე ეტყობოდათ, ნახევარზე მეტი ლენნი რომ იყო. მაგათი ხნის პირატევი ძროხა თუა, უკვე მოთავებულად დედაა, თანაც მარტოცილიანი და ჩემი სქესისანი, გახედნილ-გამოცდილი ხარები არიან, დინჯად დააბიჯებენ და ძნელად თუ მოუვთა ძლიეს დასამწნევი შეცდომა. ისე, ჩვენი დარჩეს, სკოლისაკენ მიმსწრაფებს შორის, სხვა ნათესაურ სპირალებთან ერთად, მთლად ახლობლულურიც აღმოვაჩინე. ისინი იშვიათად ლამაზაკობდნენ ან საუბრობდნენ, უფრო მეტად ბლაოდნენ და გამიხარდა, რომ იმ ცოცხალ არსებებთანაც იოლად შეიძლება საერთო ენის გამოჩახვა. მათ ლამაზიკნის სიტყვაქმწნობა ეტყობოდათ. დედ-მამასა და იმთაშუაშუა ისე ხშირ-ხშირად უხსენებდნენ ერთიმანეთს, ჩემი აზრით, არაკეთილთვისებანი განწყობით, ვითომ მე სიმინდის ტაროს ვაზრამუნებდი და ისინი კარაკიან პურს სჭამდნენ.

ერთხელ ლუკიანემ ტელევიზორისთვის მიცვირინა. ძალიან მაღიანად მესიამოვნა მუსიკა, სურათები. აუ, რამდენი რაიმე ხდება თურმე ქვეყანაზე! თვალბეგადმოკალული მივჩერებოდი ყველაფერს და, რაც მთავარი, ვიმახსოვრებდი. ცრემლებიც კი გადმოვლავარი ღლია ქვაჭაბაძის "გუთნის დედა" რომ ნაიკითხა ერთმა არტისტმა, ხოლო მოგვიანებით უფრო ავტრემოლი, ლუკიანემ "ღვინა გადავიჩეხა"

რომ ვანაცხვავა მხატვრული სევედიანობით. რა კი ყოფილა, მაგის, ლიტერატურა და ხელოვნება. ფიროსმანსა სულ გამოგნა. ისიც ვიგორი კაცად მივიჩინე ლუკიანესთან.

ჩვენ, ცხოველები, როგორც მოგვიხსენებთ, ტანზე არ ვიცვამთ. არც ფეხსაცმელი გვჭირდება და არც ქოლგა წინაში. მაგრამ შიშველი ადამიანები ქუჩაში რომ დამტუალობდნენ, გადავირიე კინადა. მართალია, მაშინ თითქმის ბლანდა ვიყავი და წესით გულე უნდა ამთრითოლებოდა ამდენი შიშვლობის შემყურე, მაგრამ ჩვენ ათრითობისა და ავარდნის დრო და საათი მშენებრიული რევიმობით ვიცით. იმის იქით ნამდვილად არ ნვაალთ, ვერანაირად ვერ დავარღვევთ ჩვენი გვარ-ჯილაგის ტრადიციებს. უფროსი მოხერხების ნაამბობიდან და ჩემივე ადუკლებიდანაც მშენებრივად მიმხსენება, რომ სქესი უაქცილებელია როგორც პირადი მოთხოვნილებების შესასყებად, ისე შთამო-



მხატვარი ბადრი გაგნიძე



მავლობის გასამრავლებლად და ამას დიდი-დიდი რამდენიმე წამი სჭირდება სულ, ესენი კი არ ამბავში არიან! ლუკიანეს ტელევიზორი ბოზი ქალბეთია გამოტყენილი. იტყვამუნებენ და იტყვამუნებენ, თან, ხარ, ნაირგვარ ფალოსს. აღარ ზღადა საშუალო იმით დატვირთვას! საიდან არ ახტებიან და და სად არ იკვებებიან იმ გავარდნებულს, თანაც რამდენჯერ, დათვლა შეუძლებელია. ეწესიან და სკემტუნებენ ტაკუა ტანაკასავით, ძალღუჯა საუბარი, რომელსაც სიმბნელის ეშინია, და მიტომ გამოპყფის ისეთ ბგერითობას. თიხასი სერია აჩვენებს ერთი ფილმის ლუკიანეს ტელევიზორში და შვიდი ქალი ცალ-ცალკე ოცვერ გათხოვდა. ყოჩად, იმათ გაძლებას და აპეტიტს. თითონ ლუკიანესავად გავიჯონ სიტყვა ბოზი იმით მიმართ წარმოთქმული ფიციხელი აღელვებისან, თორემ მე საიდან მოვიგონებდი. ჩვენში ხომ ბოზობა გამოირცხვლია. გულზე ხელი დაიდოთ და მთლად ტუტეცი ვინცა თქვენ შორის, იმან თქვას, თუ გავაგონია გამოთქმის: სექსუალური ძროხა, სექსუალური მოზვერი ან ხარი. ბოზი ძროხა, ლესბოსელი ძროხები ა.შ. ვაჟ, ესენი ვინ ყოფილან, კაცო!

მაპატიეთ, ამგვარიანებით რომ მოგინაძლეთ გონება, პატიოსანნი! მაგრამ ცხოვრება უთავბოლო რომაა, ჩემზე კარგად მოგახსენებთან, და მეც ამგვამად გავუთავებოვოვდი. ბოდიშს ვუხდის ჩემს თავს, რომ ენა დავიბნისძურე, თუმცა თქვენთვის ჩემგან ნაშობავალი ინფორმაცია უფრო სენსაციური აღმოჩნდება, ვიდრე იგივეთა თქვენმიმეც დატრიალებული.

ასე რომ, ძალიან ცუდლუტურიან საერთო სიცოცხლე ე.ი. ჩვენებურიცა და თქვენებურიც. ანტონი ვეცლვანაა დაპატივებული და დასაძალიც რომაა ხანდახან, ისიც არ იმალება.

— ეს უწმინდური მოსაზრებანი ლუკიანეს გავუშვილე. იგი ცოტა ხანს მდუმარედ იდგა. მხოლოდ ცოტა ხანს. მგონი, არც ეშმაქმა იცოდა, რას მიეღვა-მოედგობდა მისი გონება. მე კი, როგორც განეითარებულს სჩვევია ხოლმე, მივხვდი, საითკენაც მიუწევდა გული და მდულარე გადასხმულითი შევხტე.

- არ ქნა მაგ, ლუკიანე პატრონი!
- რა არ ვქნა?
- რაც ნაიბოროტე თავში.

